



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება № 01-05-04/151

ქ. თბილისი

12 ივნისი 2019

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
მემბრანული ტექნოლოგიების საინჟინრო ინსტიტუტის სამეცნიერო თანამდებობის
დაკავების მიზნით გამოსაცხადებელი კონკურსისათვის დამატებითი პირობების
დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის ბ² ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის რ⁵ ქვეპუნქტისა და მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ნ¹ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის მემბრანული ტექნოლოგიების საინჟინრო ინსტიტუტის დებულების, ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესის, ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წარდგინების (სამეცნიერო საბჭოს 2019 წლის 15 მაისის №3 ოქმი) და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 12 ივნისის №01-05-02/12 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. დამტკიცდეს სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მემბრანული ტექნოლოგიების საინჟინრო ინსტიტუტის სამეცნიერო თანამდებობის დაკავების მიზნით გამოსაცხადებელი კონკურსის დამატებითი პირობები ქვემოთ მითითებულ სამეცნიერო თანამდებობაზე:

| თანამდებობა | საშტატო ერთეული | დამატებითი მოთხოვნები |
|---|-----------------|---|
| ნანოკომპოზიციური მასალების დამუშავების განყოფილება | | |
| <p>1 მთავარი მეცნიერი თანამშრომელი</p> | 0,5 | <p>უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში:</p> <ul style="list-style-type: none"> • უნდა ჰქონდეს განსაკუთრებული დამსახურებები: • მონაწილეობა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგების დანერგვის, მოდერნიზაციისა და კომერციალიზაციის საკითხების ორგანიზებაში ; • გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 10 სამეცნიერო ნაშრომი (მონოგრაფია ან/და სტატია სამეცნიერო ჟურნალში), აქედან არანაკლებ 5 სამეცნიერო სტატია ქიმიური, ნანოქიმიური ან მემბრანული მეცნიერებების მიმართულებით; • მონაწილეობა უნდა ჰქონდეს მიღებული საერთაშორისო ან ადგილობრივ გამოფენებსა ან სამეცნიერო კონფერენციებში (ქიმიური, ნანოქიმიური ან მემბრანული მეცნიერებების საკითხების შესახებ - არანაკლებ 3-ისა). |


| | | | |
|--|-----------------------|-----|---|
| | | | <p>უნდა იცოდეს:</p> <ul style="list-style-type: none"> • სამეცნიერო კვლევების განვითარების პრობლემები და მიმართულებები (მემბრანული ტექნოლოგიების მიმართულებით); • ადგილობრივი და უცხოური მიღწევები მეცნიერებათა შესაბამის დარგებში (მემბრანული ტექნოლოგიების მიმართულებით); • სამეცნიერო კვლევა-ძიებათა ორგანიზებისა და ჩატარების თანამედროვე მეთოდები და საშუალებები (მემბრანული ტექნოლოგიების მიმართულებით). |
| <p>ფიზიკურ-ქიმიური ანალიზის ლაბორატორია</p> | | | |
| 2 | მეცნიერი თანამშრომელი | 0,5 | <p>უნდა იცოდეს:</p> <ul style="list-style-type: none"> • მისი მონაწილეობით მიმდინარე კვლევა-ძიებების მიზნები და ამოცანები (მემბრანული ტექნოლოგიების მიმართულებით); • ინფორმაცია საქართველოსა და უცხოეთში ანალოგიური შინაარსის სამეცნიერო კვლევების შესახებ (მემბრანული ტექნოლოგიების მიმართულებით); |

| | | |
|--|--|---|
| | | <ul style="list-style-type: none"> • მიღებული ინფორმაციის დამუშავების, განზოგადებისა და კვლევების ორგანიზების თანამედროვე მეთოდები (მემბრანული ტექნოლოგიების მიმართულებით); • გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 5 სამეცნიერო სტატია მემბრანული ტექნოლოგიების მიმართულებით და არანაკლებ 10 სამეცნიერო ნაშრომი (მონოგრაფია ან/და სტატია სამეცნიერო ჟურნალში). |
|--|--|---|

2. წინამდებარე დადგენილებით მიღებული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად გადაეცეს წარმომადგენლობით საბჭოს (სენატი);
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

აკადემიური საბჭოს მდივანი



ა. ფრანგიშვილი

გ. სალუქვაძე